

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №332

2019 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართ №3-ის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზების ნუმერაცია:

| ორგანოების დასახელება | მოკლე ნომრები |
|---|----------------------|
| საქართველოს პარლამენტი | 141 |
| საქართველოს მთავრობა | 151 |
| საქართველოს სამინისტროები | 1400-1409, 1500-1509 |
| საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური | 144 |
| აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ.-ების უმაღლესი საბჭოები | 142 |
| აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ.-ების მთავრობები | 143 |
| აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ.-ების სამინისტროები | 1450-1459 |
| სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები | 146 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 1471 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 1472 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – იუსტიციის სახლი | 1474 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საფინანსო- | 1551 |



| | |
|--|---|
| სანალიტიკური სამსახური | |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური | 1555; (1552-1554, 1556-1559 გაფორმების ეკონომიკური ზონები) |
| სსიპ – საპენსიო სააგენტო | 1480 |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 1481 |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი | 1482 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | 1483 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც დროებით, 2 წლის ვადით, გადასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – 112-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინსპექტირების რეფორმის ცხელი ხაზისთვის | 1484 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი | 1499 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში | 1525 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი | 1272 |
| საქართველოს მთავრობის რეზერვი | 1485-1489, 1490-1498, 1520-1524, 1526-1529, 154, 156-159 |

“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

